N 04/986
24.06.2026

ბრძანება

986-01-4-202606241603

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის 2025 წლის 10 ნოემბრის N04/1320 და 2026 წლის 20 აპრილის N04/604 ბრძანებების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

1. ფაქტობრივი გარემოებები

1.1. საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოში (შემდგომშ - „სააგენტო“) 2025 წლის 6 ოქტომბერს წარმოდგენილ იქნა შპს „ოლსერვისგრუპის“ (ს/ნ 406233552) (შემდგომში - „მომჩივანი“/„ოლსერვისგრუპი“) საჩივარი (რეგ. N01/5908), რომელიც ეხებოდა მოპასუხე - შპს „ქომუნითი სოფტ სოლუშენსის“ (ს/ნ 405543470) (შემდგომში - „მოპასუხე“/ქომუნითი სოფტ სოლუშენსი“) მხრიდან „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) 11^3 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის სავარაუდო დარღვევის ფაქტს.

1.2. საჩივრის თანახმად, მოპასუხის სახელით მოქმედმა იურიდიულმა ფირმამ - კორპუსების ამხანაგობების თავმჯდომარეებს, რომელთაც მომსახურებას უწევს მომჩივანი, გაუგზავნა ე.წ. „გამაფრთხილებელი“ წერილები, სადაც მითითებულია, რომ მომჩივანი უნებართვოდ იყენებს ქომუნითი სოფტ სოლუშენსის ელექტრონულ სისტემას და არღვევს მის საპატენტო უფლებებს. კერძოდ, აღნიშნული წერილები შეიცავს შემდეგ განცხადებებს (ციტირებულია): “კომპანია *“ქომუნითი სოფტ სოლუშენსი" (ს/კ 405543470) წარმოადგენს საქართველოს პატენტის “კოლექტიური სარგებლობის ელექტრონული მომსახურეობის სისტემა", პატენტის ნომერი U 2021 2069 Y მფლობელს”; „ჩვენსა და კომპანიას შორის, რომელსაც თქვენს მისამართთან გაფორმებული აქვს მომსახურების ხელშეკრულება, მიმდინარეობს სასამართლო დავა საპატენტო უფლების*

დარღვევასთან დაკავშირებით, რომელიც წარმატებით დასრულდა ამ წლის 16 მაისს, რაც კანონიერ ძალაში 14 სამუშაო დღის ვადაში აღირიცხება"; „თქვენ მიერ ხდება ისეთი კომპანიის მიერ შეთავაზებული მომსახურების მიღება, რომელიც არ არის უფლებამოსილი ხსენებული პატენტის გამოყენებით მომსახურების შეთავაზება" და სხვა.

1.3. მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ აღნიშნული წერილები გაგზავნილი იყო იურიდიული ფირმის მიერ, სააგენტოსთვის საჩივრის დასაშვებობის შესწავლის ეტაპზე, (საქმის მასალების გათვალისწინებით), არ იყო ცნობილი, თუ რა საფუძვლით მოქმედებდა იურიდიული ფირმა მოპასუხის სახელით. შესაბამისად, ფირმისგან გამოითხოვილ იქნა ინფორმაცია[1] აღნიშნულის თაობაზე და ადრესატს ეთხოვა, წარმოედგინა შესაბამისი მინდობილობა სააგენტოსთვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში). სააგენტოში დასაშვებობის ეტაპზე იურიდიული ფირმისგან წარმოდგენილი კორესპონდენციით არ დგინდებოდა „გამაფრთხილებელი წერილების" გაგზავნის უფლებამოსილება[2] და საკითხი საჭიროებდა დამატებით დაზუსტებას/შესწავლას.

1.4. გარდა ამისა, საჩივრისა და მის დანართებად წარმოდგენილი მტკიცებულებების მიხედვით, „გამაფრთხილებელი წერილების" მსგავსი შინაარსის კომუნიკაცია განხორციელდა უშუალოდ ქომუნითი სოფტ სოლუშენსის დამფუძნებლისა და დირექტორის, მიერაც. კერძოდ, სატელეფონო კომუნიკაციისა და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით იგი თავად დაუკავშირდა რამდენიმე სუბიექტს.

1.5. ზემოთ მითითებული ფაქტები (როგორც წერილების, ასევე, მიერ გავრცელებული), მომჩივნის განცხადებით, არ შეესაბამებოდა რეალობას და წარმოადგენდა მის დისკრედიტაციას და რეპუტაციის შელახვას.

1.6. სააგენტოს მიერ გადამოწმებული ინფორმაციით, ქომუნითი სოფტ სოლუშენსის სასარგებლო მოდელის პატენტი „კოლექტიური სარგებლობის ელექტრონული საფულით მომსახურეობის სისტემა" (U 2021 2069 Y)" გაუქმებულია საქპატენტის მიერ. საქპატენტის გადაწყვეტილება გასაჩივრებულია სასამართლოში. ამასთან, სასამართლომ (როგორც პირველი ინსტანციის, ასევე სააპელაციო სასამართლომ) არ დააკმაყოფილა ქომუნითი სოფტ სოლუშენსის შუამდგომლობა საქპატენტის გადაწყვეტილების მოქმედების შეჩერების თაობაზე. ასევე, მცხეთის რაიონული სასამართლოს

[1] სააგენტოს N02/4814 (13.10.2025) და N02/5310 (28.10.2025) წერილები

[2] სააგენტოში შემოსული N01/6598 (29.10.2025) წერილი

2025 წლის 16 მაისის გადაწყვეტილებით, ქომუნითი სოფტ სოლუშენსის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და საქპატენტს დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, კანონმდებლობით დადგენილ ვადაში ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. აღნიშნული გადაწყვეტილება თავის მხრივ გასაჩივრდა საქპატენტის მიერ და დღეის მდგომარეობით მცხეთის რაიონული სასამართლოს 2025 წლის 16 მაისის გადაწყვეტილება არ არის კანონიერ ძალაში შესული და პატენტის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება მოქმედია (ქომუნითი სოფტ სოლუშენსს განსაკუთრებული უფლებები პატენტზე არ გააჩნია). შესაბამისად, ზემოთ აღნიშნულ წერილებში მითითებული ფაქტები არ შეესაბამებოდა რეალობას.

1.7. ვინაიდან N01/5908 საჩივარი აკმაყოფილებდა ფორმალური დასაშვებობის სტანდარტის მოთხოვნებს, კანონმდებლობის შესაბამისად, საჩივარი გასაცნობად და საკუთარი პოზიციის წარმოსადგენად გადაეგზავნა მოპასუხეს[3] როგორც ელექტრონული ფოსტის მისამართზე, ასევე, საფოსტო გზავნილის მეშვეობით. ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მოპასუხის მხრიდან მიღება არ დადასტურებულა. რაც შეეხება საფოსტო გზავნილს, ის სააგენტოს დაუბრუნდა შემდეგი მიზეზით: „ადრესატმა უარი განაცხადა ჩაბარებაზე“. აღნიშნულის გათვალისწინებით, სააგენტომ იგივე წერილი (რეგ. N02/4714; თარიღი: 07.10.2025) განმეორებით გააგზავნა მოპასუხის შესაბამის მისამართზე 2025 წლის 13 ოქტომბერს, თუმცა, გზავნილი კვლავ ვერ ჩაბარდა ადრესატს.

1.8. ამასთან, მხარისათვის შეტყობინების დროულად ჩაბარების უზრუნველსაყოფად, სააგენტოს N02/4714 წერილი გაიგზავნა სსიპ შემოსავლების სამსახურში, გზავნილის გადასახადის გადამხდელის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდზე (www.rs.ge-ზე) ატვირთვის მიზნით. 2025 წლის 10 ოქტომბერს სააგენტომ სსიპ შემოსავლების სამსახურისგან მიიღო შეტყობინება, რომ კორესპონდენციის გაგზავნა ვერ მოხერხდა, ვინაიდან გადამხდელს (მოპასუხეს) არ აქვს გადასახადის გადამხდელის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდი.

1.9. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სააგენტოს ყველა ზემოთ აღნიშნული წერილი გაგზავნილია იმ ელექტრონული ფოსტის მისამართზე რომელიც არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრის მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული

[3] სააგენტოს N02/4714 (07.10.2025) წერილი

პირების რეესტრში, როგორც ქომუნითი სოფტ სოლუშენსის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდის მართვაზე პასუხისმგებელი პირის ელფოსტის მისამართი.

1.10. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტომ საჩივრის მატერიალური დასაშვებობის ეტაპზე მის ხელთ არსებული ყველა ღონისძიება გამოიყენა, რომ მოპასუხისთვის ჩაებარებინა საჩივარი. თუმცა, ამის მიუხედავად, მოპასუხემ იგი არ ჩაიბარა, არც ელექტრონული ფოსტის მეშვეობით დაადასტურა მიღება და არ ითანამშრომლა სააგენტოსთან.

1.11. საჩივრის მატერიალური დასაშვებობის შესწავლისთვის კანონმდებლობით დადგენილ ვადებში (მოპასუხე ეკონომიკური აგენტის მხრიდან თანამშრომლობაზე უარის პირობებში) სააგენტომ, მის ხელთ არსებული ინფორმაციის საფუძველზე, მიიღო გადაწყვეტილება საჩივრის დასაშვებად ცნობასა და საქმის მოკვლევის დაწყების შესახებ, რათა საქმესთან დაკავშირებულ ფაქტობრივი გარემოებები/მტკიცებულებები მოძიებულიყო და საჩივრის ფარგლებში მიეღო შესაბამისი დასაბუთებული გადაწყვეტილება კონკურენციის შესაძლო დარღვევის არსებობა/არარსებობის შესახებ.

1.12. სააგენტოს თავმჯდომარის 2025 წლის 10 ნოემბრის N04/1320 ბრძანებით დაიწყო საქმის მოკვლევა ოლსერვისგრუპის საჩივრის საფუძველზე და გამოთხოვილ იქნა ინფორმაციები მხარეებისგან და მესამე პირებისგან.

1.13. 2025 წლის 10 ნოემბრიდან 2026 წლის 18 მარტის პერიოდში სააგენტომ არაერთხელ გამოითხოვა სხვადასხვა ინფორმაცია როგორც უშუალოდ მოპასუხისგან, ასევე, (აღნიშნული განპირობებული იყო იმით, რომ საქმის მოკვლევისას სააგენტოსთვის ცნობილი გახდა, რომ მოქმედებდა ქომუნითი სოფტ სოლუშენსის სახელით, შესაბამისი მინდობილობის საფუძველზე[4]). საც, ისევე როგორც ქომუნითი სოფტ სოლუშენსს, გაეგზავნა საჩივარი და ეთხოვა მასზე მხარის წერილობითი პოზიციის წარმოდგენა[5]. ზემოთ აღნიშნული მთელი პერიოდის განმავლობაში, მხარის (და მისი წარმომადგენლის) მხრიდან ადგილი არ ჰქონია საჩივართან დაკავშირებით კონკრეტული პოზიციის წარმოდგენას.

[4] სააგენტოს წერილები: N02/5767 (18.11.2025); N02/6261 (11.12.2025); N02/6582 (29.12.2025); N02/96 (13.02.2026); N02/101 (13.01.2026) და სააგენტოში შემოსული წერილები: N01/96 (09.01.2026) და N01/476 (21.01.2026)

[5] სააგენტოს N02/4714 (07.10.2025); N02/5948 (25.11.2025); N02/101 (13.01.2026); N02/328 (20.01.2026); N02/527 (27.01.2026) წერილები

1.14. საქმის მოკვლევის მიმდინარეობისას, 2026 წლის 18 მარტს მოპასუხესთან გაიმართა ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ კომპანიის დირექტორი და წარმომადგენელი.[6] შეხვედრაზე მოპასუხემ უარყო მხარეთა შორის კონკურენციის არსებობა და განაცხადა, რომ ის არ ახორციელებს იმავე ტიპის ეკონომიკურ საქმიანობას, რასაც მომჩივანი. მოპასუხის განცხადებით, მისი საქმიანობა შემოიფარგლება შესაბამისი სასარგებლო მოდელის ლიცენზირებით. შესაბამისად, მომჩივანი განიხილება როგორც პოტენციური ლიცენზიატი და არა კონკურენტი. საგულისხმოა, რომ მოპასუხემ ლიცენზიის გაცემის შეთავაზებით მიმართა მომჩივანსაც, რომელმაც თავდაპირველად მოლაპარაკებებში მონაწილეობის მზადყოფნა გამოხატა, თუმცა საბოლოოდ პატენტი სასამართლოში გაასაჩივრა.[7] ქომუნითი სოფტ სოლუშენსის განმარტებით, ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებთან მიმართებით კონკურენციის კანონმდებლობა პირდაპირ არ ვრცელდება, ხოლო პატენტის არსებობა თავისთავად გულისხმობს ექსკლუზიურ უფლებას და ერთგვარ მონოპოლიას კონკრეტულ ტექნიკურ გადაწყვეტაზე. აღნიშნული გარემოება გამორიცხავს იმას, რომ სხვა კომპანიები, მათ შორის მომჩივანი, ჩაითვალონ მის კონკურენტებად იმავე პროდუქტთან მიმართებით.

1.15. ზემოთ აღნიშნული ინფორმაციის გათვალისწინებით, შეხვედრა გაიმართა ოლსერვისგრუპთან (2026 წლის 2 აპრილი) ქომუნითი სოფტ სოლუშენსის მოპასუხედ ყოფნის დაზუსტების მიზნით. შეხვედრაზე მომჩივანმა განაცხადა, რომ წარმოადგენდა დამატებით მტკიცებულებებს მითითებული საკითხის შესახებ და ითხოვა გარკვეული ვადა აღნიშნულისთვის.

1.16. შესაბამისად, საქმის მოკვლევის კანონმდებლობით დადგენილი ვადების გათვალისწინებით, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ გაგრძელებულიყო საქმის მოკვლევის ვადა, რათა მომჩივანს მისცემოდა შესაძლებლობა, დამატებით წარმოედგინა წერილობითი პოზიცია და მტკიცებულებები.

1.17. სააგენტოს თავმჯდომარის 2026 წლის 20 აპრილის N04/604 ბრძანებით საქმის მოკვლევის ვადა გაგრძელდა 2026 წლის 1 სექტემბრამდე.

1.18. ოლსერვისგრუპმა 2026 წლის 15 აპრილს სააგენტოს წარმოუდგინა წერილობითი პოზიცია და მის მიერ შეხვედრაზე ნახსენები მტკიცებულებები, რომლებიც მისი მოსაზრებით, ადასტურებდა საჩივარში მითითებულ

[6] ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი შეხვედრის ოქმი N2 (18.03.2026)

[7] ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი შეხვედრის (18.03.2026) აუდიო-ჩანაწერი (07:00 - 13:52 წთ)

გარემოებებს (მოპასუხის კონკურენტად ყოფნის ნაწილში). მომჩივანი იმასაც მიუთითებდა, რომ შპს „სითიქომსა“ (ს/ნ 405197111)[8] და ქომუნით სოფტ სოლუშენსის დამფუძნებელსა და დირექტორს, შორის მჭიდრო კავშირი არსებობდა. აღნიშნული პოზიციის მიღების შემდგომ სააგენტომ დამატებითი ინფორმაცია გამოითხოვა მოპასუხისგან[9]. წერილები ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ ქომუნითი სოფტ სოლუშენსს/წარმომადგენელს ჩაბარდა შესაბამისი წესით, თუმცა მოთხოვნილი ინფორმაცია მოპასუხეს არ წარმოუდგენია, რის გამოც იგი ორჯერ დაჯარიმდა 3 000 და 5 000 ლარის ოდენობით, ინფორმაციის მოუწოდებლობის გამო[10]. მოპასუხეს არც აღნიშნული ბრძანებების ჩაბარების შემდგომ (დღემდე - 24.06.2026) მოუწოდებია სააგენტოსთვის შესაბამისი ინფორმაცია[11].

1.19. ვინაიდან სააგენტოს მიერ მოპასუხისგან გამოთხოვილი და ზემოთ მითითებული ინფორმაცია ეხებოდა მომჩივნის მოსაზრებას, რომ ქომუნითი სოფტ სოლუშენსა და შპს „სითიქომს“ შორის მჭიდრო კავშირი არსებობდა, სააგენტომ მოპასუხისგან გამოთხოვილი ინფორმაციის შესახებ მიმართა შპს „სითიქომსაც“ [12]. აღნიშნული კომპანიისგან საპასუხო კორესპონდენცია სააგენტოში წარმოდგენილ იქნა 2026 წლის ივნისის თვეში[13].

2. ნორმატიული რეგულირება

2.1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლი ითვალისწინებს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადებას. აღნიშნული მუხლის 1-ელი ნაწილით დადგენილია, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი

[8] სააგენტოს N02/3455 (21.05.2026) და N02/3724 (05.06.2026) წერილები
[9] სააგენტოს N02/2469 (16.04.2026) და N02/2814 (30.04.2026) წერილები
[10] სააგენტოს თავმჯდომარის 2026 წლის 14 მაისის N04/745 და 3 ივნისის N04/848 ბრძანებები
[11] სააგენტოს N02/3331 (15.05.2026) და N02/3725 (05.06.2026) წერილები
[12] სააგენტოს N02/3455 (21.05.2026) და N02/3724 (05.06.2026) წერილები
[13] სააგენტოში შემოსული N01/5017 (06.06.2026) და N01/5447 (15.06.2026) წერილები

ძალადაკარგულად ცხადდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის დადგენილი წესით.

2.2. ზემოთ აღნიშნული მუხლის მე-6 ნაწილის მიხედვით, სამართლებრივი შედეგის თვალსაზრისით, ძალადაკარგულად გამოცხადება ნიშნავს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეწყვეტას მისი ძალადაკარგულად გამოცხადების დღიდან. ხოლო ამ მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება არ იწვევს ძალადაკარგულად გამოცხადებამდე წარმოშობილი სამართლებრივი შედეგების გაუქმებას.

2.3. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის თანახმად, ამ კანონის მოთხოვნათა დაცვასა და შესრულებაზე უფლებამოსილების მქონე ორგანოა დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო. სააგენტოს ძირითადი ამოცანაა კონკურენციის პოლიტიკის განხორციელება, საქართველოში კონკურენციის განვითარების ხელშემწყობი პირობების შექმნა, დაცვა და ამ მიზნით ყველა ტიპის ანტიკონკურენტული შეთანხმებისა და ქმედების დაუშვებლობა.

2.4. კანონის მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნტის მიხედვით კონკურენტი ეკონომიკური აგენტი შესაბამის ბაზარზე მოქმედი ან პოტენციური ეკონომიკური აგენტი. თავის მხრივ, ამავე ნორმის „ზ“ ქვეპუნქტის მიხედვით, შესაბამისი ბაზარი გულისხმობს საქონლის, ურთიერთჩანაცვლებადი საქონლის ან მომსახურების მიმოქცევის სფერო გარკვეულ ტერიტორიაზე, რომლის საზღვრებიც დგინდება საქონლის/მომსახურების შემენის ეკონომიკური შესაძლებლობებისა და მიზანშეწონილობის გათვალისწინებით და შეიძლება მოიცავდეს საქართველოს მთელ ტერიტორიას, საქართველოს ტერიტორიის ნაწილს ან საქართველოს მთელ ტერიტორიას ან მის ნაწილს სხვა ქვეყნის ტერიტორიასთან ან მის ნაწილთან ერთად.

2.5. კანონის 11^3 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, არაკეთილსინდისიერ კონკურენციად მიიჩნევა ეკონომიკური აგენტის მიერ კონკურენტის რეპუტაციის შელახვა (საწარმოზე, პროდუქციაზე, სამეწარმეო საქმიანობასა და სავაჭრო საქმიანობაზე არასწორი წარმოდგენის შექმნა), მისი უსაფუძვლო კრიტიკა ან დისკრედიტაცია.

2.6. სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის №38 ბრძანებით დამტკიცებული „საჩივრის ფორმა, მისი წარდგენის წესი და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურების და ვადების“ (შემდგომში -

,,პროცედურა“) მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სააგენტო საჩივრის მატერიალურ დასაშვებობას და მის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყების მიზანშეწონილობას შეისწავლის საჩივრის სრულყოფილი სახით რეგისტრაციიდან 30 სამუშაო დღის ვადაში. საქმის სირთულიდან გამომდინარე, ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 15 სამუშაო დღით.

2.7. პროცედურის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ზემოაღნიშნული მატერიალური დასაშვებობის შემოწმებისათვის განსაზღვრულ ვადაში სააგენტო შეისწავლის მხარეთა მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას, მტკიცებულებებს, დამატებით მოძიებულ ინფორმაციას და ახდენს მათ ურთიერთშეჯერებას. სააგენტო, ასევე, აანალიზებს, ხომ არ არსებობს საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის კანონმდებლობით განსაზღვრული საფუძვლები და წარმოიშვება თუ არა გონივრული ეჭვი სავარაუდო დარღვევის არსებობის თაობაზე.

2.8. პროცედურის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სააგენტოს პროცედურით დადგენილ ვადაში გამოაქვს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება: საჩივრის დასაშვებად ცნობის და საქმის მოკვლევის დაწყების შესახებ ან საჩივრის დაუშვებლად ცნობისა და საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ.

2.9. „საქმის მოკვლევის წესისა და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 28 ოქტომბრის N40 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქმის მოკვლევას სააგენტო იწყებს კანონის მე-6, მე-7, მე-10 და 11^3 მუხლების სავარაუდო დარღვევის ფაქტზე.

2.10. კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანებით დატკიცებული ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების მე-8 მუხლის მიხედვით, შესაბამისი ბაზრის პროდუქციულ საზღვრებში ექცევა ყველა საქონელი ან მომსახურება, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ურთიერთჩანაცვლებადად ამ საქონლის/მომსახურების მახასიათებლებიდან, ფასებიდან და მათი გამოყენების მიზნებიდან გამომდინარე. შესაბამისი ბაზრის პროდუქციული საზღვრების დადგენისას განსაზღვრული ურთიერთჩანაცვლებადობის კრიტერიუმები, შესაძლოა, განხილულ იქნეს, როგორც მომხმარებლის, ასევე მიმწოდებლის/მწარმოებლის თვალსაზრისით. ბაზრის პროდუქციული საზღვრების დადგენის პროცესში პოტენციურად ურთიერთჩამანაცვლებელი პროდუქტების ჩანაცვლებადობის ხარისხი ფასდება თვისებრივი და რაოდენობრივი ანალიზის მეშვეობით.

3. სამოტივაციო ნაწილი

3.1. საჩივრის მატერიალური დასაშვებობის ეტაპზე სააგენტოს ხელთ არსებული მასალებით (რაც განპირობებული იყო მოპასუხე ეკონომიკური აგენტის მხრიდან სააგენტოში საჩივრის ფარგლებში ყოველგვარ კომუნიკაციაზე უარით) სააგენტოს წარმოეშვა გონივრული ეჭვი კონკურენციის კანონმდებლობის შესაძლო დარღვევის ფაქტზე. შესაბამისად, დაიწყო საქმის მოკვლევა ოლსერვისგრუპის საჩივრის საფუძველზე.

3.2. საქმის მოკვლევის მიმდინარეობისას, სააგენტოში გამართულ ინდივიდუალურ ახსნა-განმარტებით შეხვედრაზე მოპასუხე მხარემ მიუთითა, რომ იგი არ წარმოადგენდა მომჩივნის კონკურენტს, ვინაიდან არ საქმიანობდა იმავე მომსახურების გაწევის სფეროში, რა მომსახურებასაც სწევს მომჩივანი. მოპასუხემ განაცხადა ისიც, რომ მან შესთავაზა მისი (იმჟამად რეგისტრირებული პატენტის) ლიცენზირება მომჩივანსაც, რომელმაც თავდაპირველად მოლაპარაკებებში მონაწილეობის მზადყოფნა გამოხატა, თუმცა საბოლოოდ პატენტი სასამართლოში გაასაჩივრა.

3.3. კანონის 11[3] მუხლის (არაკეთილსინდისიერი კონკურენცია) მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შემადგენლობა მოიაზრებს ერთი ეკონომიკური აგენტის მიერ კონკურენტი ეკონომიკური აგენტის დისკრედიტაციას და რეპუტაციის შელახვას. შესაბამისად, აღნიშნული ნორმის მიზნებისთვის, უპირველეს ყოვლისა, სახეზე უნდა იყოს კონკურენტი ეკონომიკური აგენტი და შემდგომ შეფასდეს მის მიერ განხორციელებული ქმედება დარღვევის ჭრილში.

3.4. კონკურენტის ცნება განმარტებულია კანონით, რომელიც კონკურენტ ეკონომიკურ აგენტად მიიჩნევს შესაბამის ბაზარზე მოქმედ ან პოტენციურ ეკონომიკურ აგენტს.

3.5. მოცემულ საქმეზე არსებული მასალებით დგინდება, რომ მომჩივანი ოპერირებს მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების მომსახურების სფეროში და ახორციელებს კორპუსების მომსახურების საფასურების თანხების აკუმულირებას, ასევე, საბარათე სისტემების დანერგვას, მართვასა და ტექნიკურ მომსახურებას[14].

[14] სააგენტოში შემოსული N01/5908 (06.10.2025) საჩივარი და N01/1108 (04.02.2026) წერილი

3.6. რაც შეეხება მოპასუხეს, მისი საქმიანობა შემოიფარგლება მხოლოდ სასარგებლო მოდელის პატენტზე „კოლექტიური სარგებლობის ელექტრონული საფულით მომსახურეობის სისტემა“ (U 2021 2069 Y) ლიცენზიის გაცემით.

3.7. საქმეში არ არსებობს არანაირი მტკიცებულება, რომელიც მიუთითებს, რომ მოპასუხე ახორციელებს მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების მომსახურებას.

3.8. აქვე ისიც უნდა განიმარტოს, რომ ზედა დონისაა ბაზარი, რომლის ფარგლებშიც ხდება წარმოებისა და რეალიზაციის ჯაჭვის ქვედა რგოლის ფუნქციონირებისათვის საჭირო საქონლით/მომსახურებით ვაჭრობა (Upstream Market).[15] ხოლო ქვედა დონისაა ბაზარი, რომელზეც მოქმედი ეკონომიკური აგენტები იძენენ ,,ზედა დონეზე“ არსებული ეკონომიკური აგენტების ნაწარმს, რაც აუცილებელია იმ საქონლის დასამზადებლად ან მომსახურების მისაწოდებლად, რომელსაც, თავის მხრივ, საკუთარ კლიენტებზე ყიდიან (Downstream Market).[16]

3.9. აღნიშნულის შესაბამისად, მხარეების საქმიანობის მიხედვით, მომჩივანი და მოპასუხე წარმოადგენენ არა ერთმანეთის კონკურენტებს, არამედ სხვადასხვა დონის ბაზარზე მოქმედ ეკონომიკურ აგენტებს. კერძოდ, მოპასუხე ახორციელებს სასარგებლო მოდელის ლიცენზირებას და მისი საქმიანობა შემოიფარგლება ინტელექტუალური საკუთრების უფლების კომერციალიზაციით საბოლოო მომხმარებლისთვის (მრავალბინიანი კორპუსების ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების) მომსახურების მიწოდების ბაზარზე გასვლის გარეშე. შესაბამისად, იგი ოპერირებს ზედა ბაზარზე (upstream market), სადაც „პროდუქტი" არის ლიცენზია - ანუ ნებართვა კონკრეტული ტექნოლოგიის გამოყენებაზე. რაც შეეხება მომჩივანს, იგი ოპერირებს ქვედა ბაზარზე, კერძოდ, მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების მომსახურების ბაზარზე და ახორციელებს კორპუსების მომსახურების საფასურების თანხების აკუმულირებას, ასევე, საბარათე სისტემების დანერგვას, მართვასა და ტექნიკურ მომსახურებას. ამ შემთხვევაში ეკონომიკური ღირებულება იქმნება არა ტექნოლოგიის მესაკუთრეობის გზით, როგორც მოპასუხის შემთხვევაში, არამედ ამ ტექნოლოგიის საშუალებით საბოლოო მომხმარებლისთვის ზემოაღნიშნული მომსახურების გაწევით.

[15] კონკურენციის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი, 2019, გვ. 67.
[16] კონკურენციის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი, 2019, გვ. 158

3.10. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტოს ხელთ არსებული/მოძიებული ინფორმაციის/მტკიცებულებების მიხედვით, სახეზე არაა კონკურენტი ეკონომიკური აგენტი და შესაბამისად, კანონის 11[3] მუხლის ნორმატიული შემადგენლობა (სუბიექტი). შესაბამისად, მიზანშეწონილი არაა გაგრძელდეს საქმის მოკვლევა, რადგან შესაბამისი სუბიექტის არარსებობის პირობებში სააგენტო ვერ შეაფასებს საჩივარში მითითებულ ქმედებას (ე.წ. „გამაფრთხილებელი წერილების“ გაგზავნით კონკურენტის რეპუტაციის შელახვა და დისკრედიტაცია).

სარეზოლუციო ნაწილი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის 1-ელი, მე-3, მე-6 და მე-7 ნაწილების, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17[1] მუხლის მე-4 პუნქტის, ასევე, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის №288 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის 2025 წლის 10 ნოემბრის N04/1320 ბრძანება;
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის 2026 წლის 20 აპრილის N04/604 ბრძანება;
3. წინამდებარე ბრძანება მისი ხელმოწერიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში გამოქვეყნდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე;
4. ბრძანება გაეგზავნოს მომჩივან ეკონომიკურ აგენტს - შპს „ოლსერვისგრუპს“ (ს/ნ 406233552);
5. ბრძანება გაეგზავნოს მოპასუხე ეკონომიკურ აგენტს - შპს „ქომუნითი სოფტ სოლუშენსს“ (ს/ნ 405543470);

6. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით წინამდებარე აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64);
7. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან.

ირაკლი ლექვინაძე



თავმჯდომარე